ვედრებების ბატონი

გადმოცემულია შადდაად იბნ ავსისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვედრებების ბატონი: ღმერთო, შენ ხარ ჩემი ღმერთი, არ არის ღმერთი შენს გარდა. შენ შემქმენი და მე შენი მონა ვარ. მე ვასრულებ შენს აღთქმასა და დაპირებას, რამდენადაც შემიძლია. შევთხოვ შენს შეწევნას ჩემი ჩადენილი ბოროტებისგან. ვაღიარებ შენს წყალობას ჩემზე და ვაღიარებ ჩემს ცოდვებს, მაპატიე, რადგან ცოდვებს მხოლოდ შენ პატიობ". შუამავალმა ბრძანა: «ვინც დილით გულწრფელად წარმოთქვამს ამ სიტყვებს და იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე გარდაიცვლება, ის სამოთხის ხალხიდან იქნება. და ვინც ღამით გულწრფელად წარმოთქვამს ამ სიტყვებს და გათენებამდე გარდაიცვლება, ისიც სამოთხის ხალხიდან იქნება».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ისთიღფარის (მოსანანიებელი ვედრება) მრავალი ფორმა არსებობს, მაგრამ მათგან საუკეთესო და უდიდესი ის არის, როცა მორწმუნე ამბობს: "ო ალლაჰ, შენ ხარ ჩემი ღმერთი, არ არსებობს სხვა ღვთაება შენს გარდა, შენ შემქმენი და მე შენი მონა ვარ, მე ვიქნები ერთგული ჩემი შენდამი აღთქმის და დაპირების როგორც შევძლებ, შენ შეგეფარები იმ სიავისგან, რაც ჩავიდინე. მე ვაღიარებ იმ მოწყალებას, რაც შენ გაიღე ჩემზე, და ვაღიარებ ჩემს ცოდვებს, მაპატიე, რამეთუ, არ პატიობს ცოდვებს არავინ შენს გარდა". (ალლაჰუმმა ანთა რაბბიი, ლაა ილააჰა ილლა ანთა, ხალაყთანიი ვა ანაა 'აბდუქა, ვა ანაა 'ალაა 'აჰდიქა, ვა ვა'დუქა მასთატა'თუ, ა'უუზუბიქა მინ შარრი მაა სანა'თუ, აბუუ, უ ლაქა ბინი'მათიქა, ალაია ვა აბუუ,უ ბიზანბიი, ფაღფირლიი, ფა ინნაჰუ ლაა იუღფირუ ზზუნუუბა ილლაა ანთა). მორწმუნე პირველ რიგში აღიარებს ალლაჰის ერთობას, რომ ის არის მისი შემქმნელი და მისი ერთადერთი სამსახურებელი, რომელსაც თანაზიარად არავინ ჰყავს. მორწმუნე აღიარებს, რომ ის რჩება იმ შეთანხმებაზე, რომელიც ალლაჰთან აქვს — მისი რწმენისა და მორჩილების შესახებ, მისი შესაძლებლობების ფარგლებში. ვინაიდან მორწმუნე ვერასოდეს შეძლებს სრულად შეასრულოს ყველა ის მოვალეობა, რაც ალლაჰმა დააკისრა, და ვერ მოახერხებს მადლიერების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. და მორწმუნე ნებაყოფლობით აღიარებს და მიიჩნევს ალლაჰის წყალობებს მის თავზე, ამავე დროს, საკუთარ თავს ადანაშაულებს და აღიარებს თავის ცოდვებსა და ურჩობაში ჩავარდნებს. ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ, რომ ალლაჰთან დაახლოვდეს, იგი სთხოვს თავის ღმერთს, რომ აპატიოს მას, დაფაროს მისი ცოდვები და დაიცვას მათი ზიანისგან თავისი მიტევებით, წყალობითა და მოწყალებით, რადგან არავინ პატიობს ცოდვებს მის გარდა, ყოვლისშემძლისა და დიადისა. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ეს სიტყვები მიეკუთვნება ალლაჰის ხსენების სიტყვებს, რომლებიც უნდა წარმოითქვას დილას და საღამოს. ვინც მტკიცე რწმენით, ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებითა და მათში რწმენით წარმოთქვამს მათ დღის განმავლობაში, ანუ მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე, და შემდეგ გარდაიცვლება, ის სამოთხეში შევა. ვინც ამას ღამით, მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე იტყვის და დილამდე გარდაიცვლება, ისიც სამოთხეში შევა.